საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №61

ქ. ბათუმი 07 ივლისი, 2017 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ტექნოლოგიური ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის ნაშრომების სახელმძღვანელოებად აღიარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „სახელმძღვანელოების ცნობისა და აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2009 წლის 08 მაისის N46 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№11, 19.06.2017) ამონაწერის და დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 7 17 00749046, 27.06.2017), ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№11, 19.06.2017) ამონაწერის და დეკანის, პროფ. გიზო ფარცხალაძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 7 17 00749046, 27.06.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აღიარებული იქნეს სახელმძღვანელოდ ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის ნაშრომები:

ა) **„შესავალი დიგიტალურ ჰუმანიტარიაში"**, ავტორი: პროფესორი რამაზ ხალვაში;

ბ) **„ქართული ტრადიციული საზოგადოების სოციალური არქიტექტონიკის თეორიული პრობლემები"**, ავტორი: პროფესორი ნუგზარ მგელაძე;

გ) **„თარგმანმცოდნეობა"**, ავტორი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიძე;

2. აღიარებული იქნეს სახელმძღვანელოდ ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ზოგიერთი აკადემიური თანამდებობის პირის ნაშრომი **„ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები"** (ავტორები: ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ნოდარ ბერიძე; ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი შოთა ლამპარაძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ ბუკია).

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს გამომცემლობასა და წიგნების ავტორებს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**